საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 23 აპრილის
დადგენილება №912

სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური
ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1.მოწონებულ იქნეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 იანვრის №869 დადგენილების საფუძველზე სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის ბატონ ლ. კლიმიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკონკურსო მოთხოვნები სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელებისათვის (იხ. დანართი).

2. გამოცხადდეს საუნივერსიტეტო კონკურსი სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელების მიზნით.

3. შეიქმნას შესაბამისი საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო პირობების შემუშავება და კონკურსის ვადების გამოცხადება 2013 წლის 1 მაისამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა

მოთხოვნები კონკურსის გამოცხადებისათვის

ძირითადი მოთხოვნა. წარმოადგენს ინფორმაციულ-ანალიტიკურ სისტემას უნივერსიტეტის ორგანიზაციული, სასწავლო, სამეცნიერო და სხვა პროცესების მართვისათვის. საშუალებას უნდა იძლეოდეს სისტემური მიდგომით კომპლექსურად გადავწყვიტოთ უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ოპერატიული და გრძელვადიანი ამოცანები. ავტომატიზაციის სფეროში უნდა მოექცეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ყველა საკითხი.
შედეგად სისტემის დანერგვამ უნდა მოგვცეს:

- ერთიან საკანონმდებლო და ნორმატიულ ჭრილში უნდა მოექცეს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები;
- გამარტივდეს და გამჭირვალე გახდეს ორგანიზაციულ, ფინანსურ, სასწავლო და სამეცნიერო პროცესებთან დაკავშირებული საკითხები;
- გამარტივდეს და სრულყოფილ;ი გახდეს მართვითი საკითხები;
- შემცირდეს მატერიალური დანახარჯები;
- სისტემა უნდა ამოქმედდეს ეტაპობრივად და სრულად უნდა დამთავრდეს 18 თვეში;
- სისტემის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 200 000 ლარს.

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

- სისტემის აგების და ფუნქციონირების კონცეფცია;
- სისტემის მიერ გადასაჭრელი საკითხების ფორმალიზების გეგმა;
- აპლიკანტის მიერ ამოცანის გადაჭრის რეალური და დასაბუთებული გეგმა.